სსიპ შოთა რუსთაველის
საქართველოს ეროვნული
სამეცნიერო ფონდი

19 ივნისი 2025 ქ. თბილისი

გენერალური დირექტორის

ბრძანება № 85

კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტების და რანჟირებული სიის დამტკიცების შესახებ

„კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N 172/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის „ე“ ქვეპუნქტის, „კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების 2025 წლის საგრანტო კონკურსის გამოცხადების და საკონკურსო დოკუმენტაციის ფორმების დამტკიცების შესახებ“ სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2025 წლის 10 მარტის N21 ბრძანებით დამტკიცებული კონკურსის პირობების მე-6 მუხლის პირველი პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტის ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის დაფუძნებისა და მისი წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის N62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის ,,ე“ და „ჟ“ ქვეპუნქტების საფუძველზე და სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურის უფროსის სამსახურებრივი ბარათის (N701710, 19.06.2025) შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში შემოსული პროექტების რანჟირებული სიები ამ ბრძანების დანართის N1-ის შესაბამისად.

2. დამტკიცდეს კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსში გამარჯვებული პროექტები ამ ბრძანების დანართის N2-ის შესაბამისად.

3. გამარჯვებული პროექტების ავტორებმა არაუგვიანეს 2025 წლის 27 ივნისის 18:00 საათისა სსიპ შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნულ სამეცნიერო ფონდის (შემდგომში - ფონდი) კანცელარიაში უნდა წარმოადგინონ:

ა) წამყვანი და თანამონაწილე ორგანიზაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიერ პროექტისთვის გახსნილი მიზნობრივი საბანკო/სახაზინო ანგარიში, რომელზეც არ დაირიცხება სარგებელი და მოხდება გრანტის სახსრების ჩარიცხვა და ცნობა ბანკიდან, რომ აღნიშნულ ანგარიშზე არ დაირიცხება სარგებელი;

ბ) ცნობა იმის შესახებ, რომ წამყვანი და საქართველოში რეგისტრირებული თანამონაწილე ორგანიზაციებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში) არ გააჩნია დავალიანება სახელმწიფო ბიუჯეტის წინაშე;

გ) თანადაფინანსების ცნობის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ორიგინალი – თუ ცნობის ორიგინალი უცხოენოვანია, მას თან უნდა ერთვოდეს ქართული თარგმანი დამოწმებული თარჯიმანთა ბიუროს მიერ.

4. დაევალოს ფონდის ადმინისტრაციულ და იურიდიულ დეპარტამენტს გამარჯვებული პროექტების წარმდგენებთან საგრანტო ხელშეკრულების გაფორმება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად არაუგვიანეს 2025 წლის 25 ივლისისა.
5. დაევალოს ფონდის მეცნიერების პოპულარიზაციის სამსახურს, ამ ბრძანების განთავსება ფონდის ვებგვერდზე.
6. ბრძანება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.
7. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მის: დ. აღმაშენებლის ხეივანი №64).

თეიმურაზ დოჭვირი

<u>დანართი N1</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 19 ივნისის №85 ბრძანებით

2025 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის I ლოტის რანჟირებული სია		
N	შიფრი	ქულების ჯამი
1	CS-I-25-058	15
2	CS-I-25-014	14
3	CS-I-25-207	14
4	CS-I-25-098	14
5	CS-I-25-029	13
6	CS-I-25-021	13
7	CS-I-25-136	13
8	CS-I-25-028	13

2025 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის II ლოტის რანჟირებული სია (სეზონური სკოლები)		
N	შიფრი	ქულების ჯამი
1	CS-II-25-076	45

2025 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის II ლოტის რანჟირებული სია (კონფერენციები,კონგრესები,ფორუმები,სიმპოზიუმები)		
N	შიფრი	ქულების ჯამი
1	CS-II-25-153	42
2	CS-II-25-020	36

<u>დანართი N2</u>

დამტკიცებულია
სსიპ - შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო
ფონდის გენერალური დირექტორის
2025 წლის 19 ივნისის №85 ბრძანებით

2025 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის **გამარჯვებული პროექტები** I ლოტი	
N	შიფრი
1	CS-I-25-058

2025 წლის კავკასიოლოგიის მიმართულებით სამეცნიერო კვლევითი პროექტების ხელშეწყობისა და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებების საგრანტო კონკურსის **გამარჯვებული პროექტები** II ლოტი	
N	შიფრი
1	CS-II-25-076